

UNFPA

სტანდარტული ანგარიში
პროექტის მიმდინარეობის
შესახებ - 2013

GEO2U202

ბუბუსა და საშვილოსნოს ყელის კიბოს პრევენციის მხარდაჭერის პროგრამა



ეროვნული
სპრინინგ
ცენტრი



სარჩევი

შესავალი

- I. მიზანი
- II. რესურსები
- III. შედეგები
- IV. ფინანსური განხორციელება
- V. მომავალი სამუშაო გეგმა

სტანდარტული ანგარიში პროექტის მიმდინარეობის შესახებ 2013
GEO2U202- ძუძუსა და საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის პროგრამა

ქვეყანა: საქართველო

საანგარიშგებო პერიოდი: 2013 წლის 1 იანვარი – 31 დეკემბერი

პროგრამის კომპონენტი – რეპროდუქციული ჯანმრთელობა

პროექტის საიდენტიფიკაციო მონაცემები (გამოიყენეთ ATLAS კოდი): GEO2U202

პროექტის სახელწოდება და საიდენტიფიკაციო ნომერი (თანადაფინანსების მქონე

პროექტებისათვის): GEO2U202 / ძუძუსა და საშვილოსნოს ყელის კიბოს პრევენციის

მხარდაჭერა

თანადაფინანსებელი დონორები: თბილისის მუნიციპალიტეტთან არსებული ჯანდაცვის, კულტურისა და სოციალური საკითხების დეპარტამენტი/ გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA)

პროგრამის კომპონენტის ხელმძღვანელი: შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო

შემსრულებელი პარტნიორები: ეროვნული სკრინინგ ცენტრი, UNFPA

პროგრამის პასუხისმგებელი მენეჯერი/ოფიცერი: ლ.ბაქრაძე, პროგრამის ანალიტიკოსი/ UNFPA; ლ.ჯუღელი, პროექტის ეროვნული კონსულტანტი, ეროვნული სკრინინგ ცენტრი/ UNFPA



ეროვნული
სკრინინგ
ცენტრი

I. შესავალი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტთან არსებული ჯანმრთელობისა და სოციალური საკითხების დეპარტამენტსა და UNFPA-საქართველოს შორის პარტნიორობას რეპროდუქციული ტრაქტის კიბოს პროფილაქტიკისა და ადრეული გამოვლენის შესახებ საფუძველი ჩაეყარა 2006 წელს თბილისში.

მიღებული მონაცემების ანალიზისა და დაგროვილი გამოცდილების საფუძველზე 2008 წელს შეიძვალა პროექტის დიზაინი და მოხდა მისი ფოკუსირება ძუძუსა და საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგზე თბილისის სამიზნე პოპულაციაში. პროექტის განხორციელება დაეგვალა ეროვნულ სკრინინგ ცენტრს. აღნიშნული პროგრამა კრიტიკულ როლს ასრულებს რეპროდუქციული ჯანმრთელობისათვის მაღალი ხარისხის მომსახურების ხელმისაწვდომობის გაზრდის საქმეში და ხორციელდება საქართველოს ყოფილი პირველი ლედის პარტონაჟით¹.

ეს ინოვაციური პროექტი ერთ-ერთი პირველთაგანია აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებში განხორციელებულ მსგავს პროექტებს შორის, რომელიც მიზნად ისახავს რეპროდუქციული სისტემის კიბოს ადრეულს ტადიებზე გამოვლენის შესაძლებლობების გაზრდას და ამ გზით აღნიშნული დაავადებით გამოწვეულ ქალთა ადრეული სიკვდილობის შემცირებას. პროექტი დასახული მიზნის მიღწევას გეგმავს ძუძუსა და საშვილოსნოს ყელის კიბოს სამიზნე ასაკის ქალებისათვის სკრინინგული მომსახურების თანაბარუფლებიანი ხელმისაწვდომობისა და იმავდროულად პროგრამის მართვის, მომსახურების მიწოდების, მონიტორინგის & შეფასებისა და ანგარიშგების მაღალი სტანდარტების შენარჩუნების გზით.

პროექტის თვალსაჩინო მიღწევების, კერძოდ, ქალთა ავადობისა და სიკვდილობის შემცირებაში გაწეული წვლილის საფუძველზე 2009 წელს ფედერალურმა ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება ეროვნულ დონეზე პროექტის განმეორების შესახებ. 2010 წელს ძუძუს კიბოს სკრინინგის პროგრამა დაინერგა საქართველოს ოთხ რეგიონში, ხოლო დაწყებული 2011 წლის ივნისიდან კიბოს სკრინინგის ყოვლისმომცველი პროგრამა (ძუძუს, საშვილოსნოს ყელის, სწორი ნაწლავის კიბოს სკრინინგი და პროსტატის კიბოს რისკის მართვა) ხელმისაწვდომი გახდა საქართველოს მთელი მოსახლეობისათვის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის (დკ&სჯეც) (შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო) მეშვეობით და რომელიც ასევე დანერგილია ეროვნული სკრინინგ ცენტრის მიერ. კიბოთი გამოწვეული ავადობისა და სიკვდილობის შემცირების მიზნით კიბოს სკრინინგის პროგრამა კვლავ რჩება შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ახალი მმართველობის ერთ-ერთ უმთავრეს ინტერვენციად/პრიორიტეტად საზოგადოებრივ ჯანდაცვაში. აღნიშნული პრიორიტეტების პასუხად ჯანდაცვის სამინისტრო და დკ&სჯეც, UNFPA-სთან ერთად შეიმუშავეს საქართველოსთვის კიბოს სკრინინგის სტრატეგიას რათა გახდეს კიბოს კონტროლის იმ სტრატეგიის ნაწილი, რომელსაც ამჟამად შეიმუშავეს დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი - დკ&სჯეც. მისი ფოკუსირება მოხდება სამიზნე პოპულაციაში სკრინინგის ხელმისაწვდომობისა და

¹ 2013 წლის 31 ოქტომბერს საქართველოში ჩატარდა საპრეზიდენტო არჩევნები, გიორგი მარგველაშვილი არჩეულ იქნა საქართველოს პრეზიდენტად

სტანდარტული ანგარიში პროექტის მიმდინარეობის შესახებ 2013
GEO2U202- ქუქუსა და საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის პროგრამა

სკრინინგ პროგრამის ხარისხის გაუმჯობესებაზე. პოპულაციაზე დამყარებული საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის პილოტური პროექტი შემდგომში გამოყენებული იქნება მოდელად კიბოს სხვა ლოკალიზაციების სკრინინგის პროგრამების ორგანიზებისათვის.

II. მიზანი

UNDAF გამოსავალი: შემცირებული სიღარიბე მდგრადი ეკონომიკური ზრდისა და ჰუმანური განვითარების მეშვეობით.

მოსალოდნელი გამოსავალი:

დაუცველი მოსახლეობის ჯგუფები სარგებლობენ ხარისხიანი სამედიცინო მომსახურების, განათლების და სხვა უმნიშვნელოვანესი სოციალური სამსახურების ხელმისაწვდომობით.

მოსალოდნელი შედეგი:

1.2: ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანდაცვის სამსახურებისა და გენდერული ინფორმაციისადმი, განსაკუთრებით კი მოსახლეობის უკიდურესად დაუცველი ჯგუფებისათვის.

შემსრულებელი პარტნიორები: ეროვნული სკრინინგ ცენტრი, UNFPA

III. რესურსები

პროექტის განხორციელების საერთო ბიუჯეტი 2013 წლისათვის შეადგენდა 831,650 აშშ დოლარს

დაფინანსების წყარო: UNFPA ქ. თბილისის მერის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახური

ძირითადი რესურსები – 88,405 აშშ დოლარი

არა-ძირითადი რესურსები (GEO04) – 743,245 აშშ დოლარი



IV. შედეგები

პროექტის მართვა

პროექტის მართველი გუნდი წარმოდგენილია ეროვნული სკრინინგ ცენტრის დირექტორით, პროექტის ეროვნული კონსულტანტით (UNFPA-ს მიერ დანიშნული), სამედიცინო ეპიდემიოლოგიური სფეროს ადგილობრივი კონსულტანტით, საინფორმაციო ტექნოლოგიების სპეციალისტითა და მონიტორინგის ასისტენტით. მონიტორინგის ასისტენტი, როგორც გაერთიანებული ინსპექტირების ჯგუფის წევრი, ყოველთვიურად უზრუნველყოფს პროექტის განხორციელებაზე მონიტორინგს, პროექტის ფარგლებში გამოკვლეული ქალების შემდგომ მეთვალყურეობას და ატარებდა მომხმარებლის კმაყოფილების შემსწავლელ კვლევებს. UNFPA-ს ადგილობრივი ოფისი საქართველოში უზრუნველყოფდა პროექტის ერთიან მმართველობით და ტექნიკურ მხარდაჭერას. ძუძუსა და საშვილოსნოს ყელის კიბოს პრევენციისათვის შავი ზღვის ქვეყნების კოალიციის ტექნიკური ასისტენტი ასევე ახორციელებდა პროგრამის მხარდაჭერას სხვადასხვა პარტნიორული საქმიანობით.

UNFPA უზრუნველყოფდა შეხვედრებს პროექტის მმართველი კომიტეტისთვის, სადაც მიმოიხილავდნენ პროექტის განხორციელების სტატუსს, განვითარებას, გამოწვევებს და თანხმდებოდნენ სამომავლო გეგმებზე.

ეროვნული შესაძლებლობების განვითარება ძუძუსა და საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის პროგრამის მართვისა და განხორციელებისათვის

ეროვნული შესაძლებლობების განვითარება ძუძუსა და საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის პროგრამის სტრატეგიული დაგეგმვის, კლინიკური მართვის, დანერგვისა და ხარისხის უზრუნველყოფის გაძლიერების მიზნით UNFPA-ს ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს; ამ თვალსაზრისით, საანგარიშო პერიოდში განხორციელდა რამოდენიმე მნიშვნელოვანი ღონისძიება:

1. კიბოთი გამოწვეული ავადობისა და სიკვდილობის შემცირების თვალსაზრისით კიბოს სკრინინგის პროგრამა კვლავ რჩება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ახალი მმართველობის ერთ-ერთ უმთავრეს ინტერვენციად/პრიორიტეტად საზოგადოებრივ ჯანდაცვაში. აღნიშნული პრიორიტეტების გათვალისწინებით 2013 წლის 24-25 ივლისს დედასა და ბავშვების (UNFPA-საქართველოს ფინანსური მხარდაჭერით) მიერ ჩატარდა სემინარი საქართველოში კიბოს სკრინინგის პროგრამის სტრატეგიული მიმართულებების შესახებ. სემინარზე წარმოდგენილი და განხილული იქნა ზემოთ აღნიშნული ანგარიში, რის საფუძველზეც ამ საკითხით დაკავებული ჯანდაცვის პოლიტიკის შემქმნელები და განმხორციელებელი პარტნიორების მიერ შემუშავებული იქნა მოცემული რეკომენდაციები.

ქვემოთ წარმოდგენილია სემინარზე შემუშავებული ძირითადი რეკომენდაციები:



სტანდარტული ანგარიში პროექტის მიმდინარეობის შესახებ 2013

GEO2U202- ქუქუსა და საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის პროგრამა

I. არსებული სკრინინგ პროგრამები

- გაგრძელდეს 4 ლოკალიზაციის კიბოს (ქუქუს, საშვილოსნოს ყელის, კოლორექტალური, პროსტატის) სკრინინგის პროგრამები მიმდინარე წლის ბიუჯეტის ციკლში. (2013-2014). მოიწვიონ ექსპერტთა ჯგუფი (ადგილობრივი ექსპერტები, ეროვნული სამედიცინო ასოციაციები და საერთაშორისო ექსპერტები) რათა განიხილონ მეცნიერული მტკიცებულებები პროსტატის კიბოს სკრინინგის სარგებლიანობისა და ზიანის შესახებ და შეიმუშაონ რეკომენდაციები მომავალი წლის ბიუჯეტის ციკლისთვის (2015-2016) შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, დეკლარაცია და ეროვნული სკრინინგ ცენტრისთვის.



- განხორციელდეს ალტერნატიული სკრინინგის ტექნოლოგიების შესახებ ექსპერტების მიმოხილვისა და ხარჯთეფექტურობის ანალიზი და შემუშავდეს რეკომენდაციები მოთხოვნის მიხედვით პროგრამის განახლებისათვის:
 - მაგ. მსჯელობა თხევადი ციტოლოგიის ან ადამიანის პაპილომა ვირუსის ტესტირების გამოყენების შესახებ საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის პროგრამაში.

II. სკრინინგის პროგრამების სტრუქტურა:

- კიბოს სკრინინგი უნდა ხორციელდებოდეს ორგანიზებული პროგრამების საშუალებით, რომლებიც უზრუნველყოფენ უმაღლეს შესაძლო ხარისხსა და სამიზნე პოპულაციის მოცვას ქვეყანაში არსებული ჯანდაცვის სისტემის ფარგლებში,
- თანდათანობით განხორციელდეს ორგანიზებული სკრინინგ პროგრამის საკვანძო ელემენტების დანერგვა საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის პილოტური მოდელის დანერგვის საშუალებით, ხოლო მას შემდეგ, რაც ეს მოდელი დაიწყებს ეფექტურ ფუნქციონირებას, მოხდეს კიბოს სხვა ლოკალიზაციების ჩართვა.

III. დაფინანსება, ტენდერების განხორციელება, ანაზღაურება და შესყიდვები

- დაინერგოს ისეთი მექანიზმები, რომელიც საშუალებას იძლევა მომსახურების მომწოდებლებთან ხელშეკრულებები დაიდოს მომსახურების მიწოდებისთვის საჭირო ინვესტიციების დონის შესაბამისად.
 - ანუ მომსახურება, რომელიც საჭიროებს დიდ ფინანსურ ინვესტირებას შენობა-ნაგებობებში, დანადგარებსა და აღჭურვილობაში, პერსონალის სწავლებაში და ა.შ. უნდა იყოს შესაბამისი ხანგრძლივობის რათა მიეცეს

სტანდარტული ანგარიში პროექტის მიმდინარეობის შესახებ 2013

GEO2U202- ქუქუსა და საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის პროგრამა

გაწეული ინვესტიციების ამოღების შესაძლებლობა მომსახურებისთვის დამატებითი ხარჯების წარდგენის გარეშე.

- მომსახურების ღირებულება უნდა იყოს:
 - სტანდარტიზებული მთელი ქვეყნის მასშტაბით
 - დადგინდეს ისეთი დონე, რომელიც იძლევა მაღალი ხარისხის მომსახურების მიღების შესაძლებლობას რეალურად გაწეული ხარჯების აღრიცხვის შესაბამისად:
 - ადგილობრივად ხარისხის მუდმივი გაუმჯობესების სისტემის (აღჭურვილობა, მომსახურება და სწავლება) დანერგვა და ფუნქციონირება
 - პერსონალის სწავლება და უწყვეტი სამედიცინო განათლება (CME)
 - აღჭურვილობისა და შენობა-ნაგებობების მომსახურება და შეკეთება
 - აღჭურვილობისა და შენობა-ნაგებობების ამორტიზაციის ხარჯები
- ანაზღაურება დაკავშირებული უნდა იყოს არა მხოლოდ რაოდენობრივ, არამედ ხარისხის მაჩვენებლებთანაც
 - ანუ დამაკმაყოფილებელი ნიმუშების რაოდენობა და არა მხოლოდ ნიმუშების რაოდენობა საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის შემთხვევაში
- ხარჯების შემცირებისა და სტანდარტიზაციის მიზნით მომსახურების მომწოდებლებისთვის აღჭურვილობის, მომსახურების და სახარჯი მასალების ცენტრალიზებული, კოორდინირებული შესყიდვა

IV. მართვა: კიბოს სკრინინგთან დაკავშირებული მომსახურების მიწოდებაში ჩართული სხვადასხვა ორგანიზაციების როლები მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული და საჭიროებისდა მიხედვით იურიდიულად გამართული.

დკ&სჯეც-ს როლი:

- ეროვნული სკრინინგის საკოორდინაციო ოფისის/ფუნქციონალური ერთეულის შექმნა (ესსო /NSCO);
- წამყვანი როლი მოწვეულ ექსპერტთა შეხვედრების ორგანიზებაში და ა.შ. (საჭიროებისამებრ ეროვნული სკრინინგის საკოორდინაციო ოფისის მხარდაჭერით) რათა ერთობლივად შეიმუშავონ სკრინინგ პროგრამების განხორციელებასთან ან ზოგადად მათ ფუნქციონირებასთან დაკავშირებული პოლიტიკა, რეკომენდაციები და ა.შ.;
- სკრინინგთან დაკავშირებული ეპიდემიოლოგიური მონაცემების შეგროვება და ანალიზი (ეროვნული სკრინინგის საკოორდინაციო ოფისის მხარდაჭერით);
- სკრინინგ პროგრამების დანერგვის მონიტორინგი და პრობლემების გადასაჭრელი ღონისძიებების განხორციელება;
- ესსო-ს მიერ წარმოებული ანგარიშგების საშუალებით ყველა იმ მომსახურების მონიტორინგი, რომელიც ჩართულია სკრინინგ პროგრამის უზრუნველყოფაში, დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა ისე, როგორც ეს მითითებულია მომსახურებების შესაბამის ხელშეკრულებებში, უხარისხო შესრულების იდენტიფიცირება და გამოსასწორებელი ღონისძიებების გატარება.



აღმავალი
ხარისხის
სამართი

სტანდარტული ანგარიში პროექტის მიმდინარეობის შესახებ 2013

GEO2U202- ქუქუსა და საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის პროგრამა

ესსო-ს ფუნქციები:

- დეკლარაციის მხარდაჭერა მოწვეული ექსპერტების შეხვედრების ორგანიზებაში (რათა ერთობლივად შეიმუშავონ სკრინინგ პროგრამების განხორციელებასთან ან ზოგადად მათ ფუნქციონირებასთან დაკავშირებული პოლიტიკა, რეკომენდაციები და ა.შ.);
- სკრინინგის პროგრამაში ჩართული ადამიანური რესურსების სწავლების კოორდინირება;
- მომსახურების მომწოდებლების ინსპექტირება რათა დარწმუნდნენ რომ სკრინინგ პროგრამისთვის მომსახურების უზრუნველსაყოფად მომწოდებლები აკმაყოფილებენ ხელშეკრულებაში მითითებულ პირობებსა და ვადებს;
- მიწოდებული მომსახურების შესახებ მონაცემების შეგროვება და ანალიზი (რაოდენობა);
- შესრულების მონაცემების (ხარისხი) შეგროვება ანალიზისთვის;
- სკრინინგთან დაკავშირებული ეპიდემიოლოგიური მონაცემების შეგროვება და გაანალიზება დეკლარაციასთან ერთად;
- სკრინინგ პროგრამების განხორციელების მონიტორინგი და პრობლემების გადასაჭრელი ღონისძიებების განხორციელება;
- ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესების სისტემის დანერგვა და განხორციელება ეროვნულ დონეზე;
- შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან ერთად მოწვეული ექსპერტების შეხვედრების ორგანიზება და სტანდარტების, გაიდლაინებისა და რეკომენდაციების შემუშავების კოორდინირება:
 - შენობა-ნაგებობები
 - მინიმალური სტანდარტები ზომის, დაგეგმარების, აღჭურვილობისა და პერსონალისთვის
 - ინსპექტირებისა და სერთიფიცირების პროცედურები
 - განმეორებითი სერთიფიცირების პროცედურები
 - მომსახურების მომწოდებლები
 - მინიმალური კვალიფიკაცია და სწავლების მოთხოვნები
 - გამოცდებისა და სერთიფიცირების მოთხოვნები
 - განმეორებითი სერთიფიცირების მოთხოვნები
 - ყველა პროცედურის კლინიკური გაიდლაინები
 - გაიდლაინები ყველა პროცედურისთვის
 - შესრულების ინდიკატორები (მაჩვენებლები) და სტანდარტები
- ზემოთ ჩამოთვლილიდან გამომდინარე, ფაქტებზე დაფუძნებული სკრინინგის გაიდლაინების მომზადება და გამოქვეყნება, რომლებიც მოწონებული და მიღებულია შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ;
- მონიტორინგი, შეფასება და ხარისხის კონტროლის დანერგვა



პროცესული
ხარისხის
სამართი

სტანდარტული ანგარიში პროექტის მიმდინარეობის შესახებ 2013

GEO2U202- ქუქუსა და საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის პროგრამა

- ხარისხის კონტროლის სისტემის სტრუქტურა ხარისხის მანვენებლების რეგულარული შეგროვებისა და დეკლარაციის ანგარიშებისათვის, კიბოს რეგისტრისთვის, ესო და მომსახურების მომწოდებლებისთვის და სისტემის დასანერგად დეკლარაციის მხარდაჭერა;
 - ინდიკატორების შეფასების მეთოდოლოგიისა და ანგარიშების პროცედურების განსაზღვრა;
 - შიდა და გარე კლინიკური აუდიტის პროცედურების განსაზღვრა
 - დეკლარაციის-საგან ინდიკატორების მონაცემების მიღება, გაანალიზება და უკუანგარიშება დეკლარაციის, ნებისმიერი უხარისხო შესრულების მითითებით;
 - დეკლარაციის მხარდაჭერა მოთხოვნისამებრ რათა მოხდეს ნებისმიერი უხარისხო შესრულების გამოვლენა და განხორციელება გამოსასწორებელი ქმედებები.
2. პროექტის ეროვნული კონსულტანტი მონაწილეობდა სწავლების მე-2 მოდულში კიბოს სკრინინგის პრინციპების, ორგანიზების, შეფასების, დაგეგმვის და მართვის შესახებ, რომელიც ორგანიზებული იყო ევროპული პარტნიორობა კიბოს საწინააღმდეგო ქმედებისთვის EPAAC და კიბოს კვლევის საერთაშორისო სააგენტოს მიერ (IARC) მიერ, რომელიც ჩატარდა ლიონში, საფრანგეთი, 11-15 მარტს, 2013წ. პირველი მოდული ზემოთ აღნიშნული სწავლებისა ჩატარდა ლიონში 2012 წლის 19-23 დეკემბერს.

მეორე მოდულის სწავლება მოიცავდა შემდეგ საკითხებს:

1. კიბოს სკრინინგის სფეროში კიბოს სხვა ლოკალიზაციების სკრინინგის და ტექნოლოგიების შედარებითი ეფექტურობის კვლევა, მტკიცებულებები სხვა ლოკალიზაციების სკრინინგების შესახებ: პროსტატის კიბოს სკრინინგი, ფილტვის კიბოს სკრინინგის ახალი ტექნოლოგიებისა და სკრინინგის პროტოკოლების შედარებითი კვლევა, ადამიანის პაპილომა ვირუსის ტესტირების, ტომოსინთეზის, გენეტიკური ტესტები. 2. სკრინინგ პროგრამების გავლენა დაავადების ინციდენტობასა და სიკვდილობაზე, სკრინინგსა და მკურნალობას შორის ურთიერთქმედება: ხარისხი და მკურნალობა, მიღწევები კიბოს სკრინინგის სფეროში. 3. ჯანდაცვის ტექნოლოგიების შეფასება (HTA), ხარჯებისა და სკრინინგის მოდელირება.

კურსის განმავლობაში მიღებული ცოდნისა და ინფორმაციის გაზიარება მოხდა შესაბამის პოლიტიკის შემქმნელებსა და ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან. გარდა ამისა, პროექტის ეროვნულმა კონსულტანტმა UNFPA-საქართველოს ხელმძღვანელობას წარუდგინა გეგმა ევროპის წამყვან ინსტიტუტებთან სავარაუდო პარტნიორობის შესახებ, სახელდობრ: ევროპული პარტნიორობა კიბოს წინააღმდეგ, სკრინინგის მართვის ევროპული სკოლა, კიბოს კვლევის საერთაშორისო სააგენტო.



სტანდარტული ანგარიში პროექტის მიმდინარეობის შესახებ 2013

GEO2U202- ქუქუსა და საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის პროგრამა

3. UNFPA-ს მხარდაჭერით ჩატარდა ზემოთ აღნიშნული ანალოგიური სწავლების სემინარი საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის პოლიტიკისა და მართვის შესახებ შემდეგი საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობით: ბატონი აპთი ანტილა, სკრინინგის მართვის ევროპული სკოლის პროექტის ხელმძღვანელი, ევროპული პარტნიორობა კიბოს წინააღმდეგ (EPAAC), სკრინინგის მართვის ევროპული სკოლის ფაკულტეტის წევრი, მასობრივი სკრინინგის რეგისტრის/ფინეთის კიბოს რეგისტრი; შტეფან ლონბერგი, მედიცინის დოქტორი, სკრინინგის მართვის ევროპული სკოლის ფაკულტეტის წევრი, საშვილოსნოს



ყელის კიბოს სკრინინგის პროგრამის რეგისტრის ხელმძღვანელი ნორვეგიაში.

ქვემოთ ჩამოთვლილი ინსტიტუციების 30-ზე მეტი წარმომადგენელი იღებდა მონაწილეობას კონფერენციაში: დკ&სჯეც-ს, ეროვნული სკრინინგ ცენტრის მმართველ თანამდებობზე მყოფი პერსონალი, საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის წამყვანი კლინიკური

სპეციალისტები და შერჩეულ რეგიონებში (პილოტურ რეგიონებში) მიმდინარე სკრინინგ პროგრამების მენეჯერები და საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგში ჩართული ექიმები.

სემინარის მიმდინარეობისას განხილულ იქნა შემდეგი საკითხები:

- პოპულაციაზე დამყარებული კიბოს სკრინინგის პროგრამის ძირითადი ელემენტები (საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის პროგრამა):
 - ორგანიზებული, პოპულაციაზე დამყარებული სკრინინგის კონცეფცია;
 - ორგანიზებული სკრინინგის წინასწარი რეკვიზიტები;
 - ოპორტუნისტული ორგანიზებული სკრინინგის შედარება;
 - ჯანდაცვის სისტემაში ინტეგრირება (მოთხოვნები ინფრასტრუქტურასა და ადამიანური რესურსების მიმართ) და ოჯახის ექიმების როლი
 - ფინანსური წინააღმდეგობების აღმოფხვრა (ოფიციალური და არაოფიციალური)
- ევროკავშირის მიერ საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგისთვის ამჟამად რეკომენდირებული ტენდენციები და მტკიცებულებები.
- საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის პოლიტიკა საშუალო შემოსავლის რესურსების მქონე ქვეყნებში;
- საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის ტესტები (ციტოლოგია, ადამიანის პაპილომა ვირუსის ტესტი, თხევადი ციტოლოგია) – შედარებითი ანალიზი ხარჯთეფექტურობის თვალსაზრისით მცირე და საშუალო შემოსავლის რესურსების მქონე ქვეყნებისთვის.

სტანდარტული ანგარიში პროექტის მიმდინარეობის შესახებ 2013

GEO2U202- ძუძუსა და საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის პროგრამა

- საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის პროგრამის განხორციელებისა და ორგანიზების სხვადასხვა ეტაპები:
 - წინასწარი დაგეგმვა, დაგეგმვა, პილოტირება, განხორციელება, მოცულობის სრულად გაზრდა; შესაბამისი სკრინინგული პოლიტიკა (სამიზნე მოსახლეობა, მეთოდი, ინტერვალი, ასაკობრივი განაწილება, მინიმალური სტანდარტი შენობა-ნაგებობებისათვის); სკრინინგის პროცესის მოდიფიცირებისათვის მტკიცებულებების არსებობა; მოწვევის ასპექტები&როგორ მივალწიოთ ოპტიმალურ მონაწილეობა; სკრინინგის შესახებ ინფორმაციის მიწოდება; და ოჯახის ექიმების როლი.
- მართვა, შეფასება და ხარისხის უზრუნველყოფა [ინდიკატორების მონაცემების რეგულარული შეგროვებისა და შეტყობინებისთვის ხარისხის სისტემის დანერგვის ჩათვლით, კლინიკური აუდიტი] და საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის პროგრამის აკრედიტაცია.
- ინფორმაციული სისტემა, შეტყობინება და კავშირი კიბოს რეესტრთან.

4. 2013 წლის 15-16 ოქტომბერს, ქალთა უფლებამოსილება კიბოს ადვოკატირების ქსელმა (WE CAN “ჩვენ შეგვიძლია”), საქართველოს ეროვნულ სკრინინგ ცენტრთან თანამშრომლობით ჩაატარა მე-6 აღმოსავლეთ ევროპის/ცენტრალური აზიის ძუძუს კიბოს საწინააღმდეგო პოპულარიზაციის საგანმანათლებლო



უმადლესი დონის შეხვედრა თბილისში, საქართველო. WE CAN, არის ვაშინგტონის უნივერსიტეტის სიეტლის კიბოს დაცვის ალიანსთან არსებული გლობალური ქსელი ცვლილებებისთვის, რომელიც აუმჯობესებს ქალთა ჯანმრთელობას პერსპექტივების, რესურსების და სტრატეგიების გაცვლის გზით 2003 წლიდან. სამიტი წარმოადგენს ფორუმს სადაც აერთიანებს პაციენტებს, სამედიცინო სფეროს პროფესიონალებს, ადვოკატებსა და პოლიტიკის შემქმნელებს რათა

გააუმჯობესოს ქვეყნებს შორის იდეების, ინფორმაციისა და რესურსების გაცვლის შესაძლებლობები.

აღნიშნული შეხვედრის მიზანი იყო ძუძუს კიბოს გამოსავლის გაუმჯობესება რეგიონში ძუძუს კიბოსგან გადარჩენილი პაციენტების ადვოკატირების გაძლიერების გზით, განათლებისა და სწავლების უზრუნველყოფით, სოციალური მუშაკებისათვის, ჯანდაცვის მომწოდებლებისათვის, რომლებიც დაინტერესებულნი არიან მათსავე საზოგადოებებში კიბოს შესახებ საზოგადოების განათლებისა და პაციენტის ადვოკატირების პოპულარიზაციით. შეხვედრა კოორდინირებული იყო “ჩვენ შეგვიძლია“-ს მიერ საქართველოს ეროვნულ სკრინინგ ცენტრთან, შავი ზღვის ქვეყნების კოალიციასთან ძუძუს და

სტანდარტული ანგარიში პროექტის მიმდინარეობის შესახებ 2013

GEO2U202- ქუძუსა და საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის პროგრამა

საშვილოსნოს ყელის კიბოს პრევენციისათვის, საქართველოს ეროვნული რეპროდუქციული ჯანმრთელობის საბჭოს და UNFPA-თან თანამშრომლობით. მისი მხარდაჭერა და დაფინანსება განახორციელა UNFPA საქართველომ, USAID JSI-SUSTAIN, Livestrong Foundation, Hera, Hoffman-La Roche, IWA, UGT, AVON საქართველომ, Susan G. Komen, გამარჯვებულ ქალთა კლუბმა და კერძო პირებმა.

2013 წლის სამიტმა შეიკრიბა 50-ზე მეტი ადვოკატი 12 ქვეყნიდან (საქართველო, სომხეთი, ბელარუსია, ყაზახეთი, ყირგიზეთი, პოლონეთი, რუმინეთი, რუსეთი, ტაჯიკეთი, უკრაინა, უზბეკეთი და ა.შ.შ.) რათა მომხდარიყო ქუძუს კიბოთი გადარჩენილი პაციენტების ადვოკატირების გაძლიერების მიზნით საუკეთესო პრაქტიკის ურთიერთ გაზიარება. მარიამ ჯაში, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე მიესალმა დამსწრეებს და ხაზგასმით აღნიშნა ადრეული გამოვლენისა და სკრინინგის მნიშვნელობა. ქნმა ჯული გრალოუმ, სარძევე ჯირკვლის სამედიცინო ონკოლოგიის პროგრამის დირექტორმა (SCCA), პროფესორმა მკერდის კიბოს სფეროში



(UW School of Medicine) და WE CAN-ს თანადამარსებელმა აღნიშნა, რომ ქუძუს კიბოს უჭირავს წამყვანი ადგილი ქალების კიბოსთან დაკავშირებულ სიკვდილობაში და წარმოადგენს კიბოს ყველაზე გავრცელებულ სახეობას ქალთა შორის მსოფლიოში ყოველწლიურად ქუძუს კიბოს 1.3 მილიონზე მეტი შემთხვევის დიაგნოსტირება ხდება, და ქუძუს კიბოსთან დაკავშირებული გარდაცვალებების 55%-ზე მეტი ხდება საშუალო და დაბალი შემოსავლის მქონე ქვეყნებში. ა.შ.შ.-ს ელჩმა საქართველოში, რინარდ ნორლანდი თავის მისასალმებელ სიტყვაში ღიად გამოეხმაურა ადრეული დეტექციისა და რეგიონალური თანამშრომლობის მნიშვნელობას.

სამიტის მიმდინარეობისას ადვოკატებმა ერთმანეთს გაუზიარეს მიღებული ცოდნა და ადვოკატირების საუკეთესო პრაქტიკა, სკრინინგისა და კიბოთი გადარჩენილ პაციენტების შესაძლებლობებისათვის ქსელის შექმნა. მათთვის დაკისრებული მოვალეობებისა და სხვა ერთობლივი მახასიათებლების გათვალისწინებით, როგორცაა შეზღუდული რესურსები და ნაკლები ინფორმირებულობა, აერთიანებს ადვოკატებს რეგიონებს შორის და აძლევს უნიკალურ შესაძლებლობას გაცვალონ ცოდნა სტიგმასთან ბრძოლისა და სხვა გამოწვევებთან დაკავშირებით მსგავს ან შესაფერის გარემოში. მონაწილეებმა ასევე იმსჯელეს სამომავლო ღონისძიებების კოორდინირებისა და უფრო ფართო რეგიონალური თანამშრომლობის შესახებ.



პროფესორი
სამარია
სამარია

სტანდარტული ანგარიში პროექტის მიმდინარეობის შესახებ 2013

GEO2U202- ძუძუსა და საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის პროგრამა

სამიტის მეორე დღეს ძუძუს კიბოსგან გადარჩენილი ქალებათვის და პაციენტების ადვოკატები შეიკრიბნენ ადვოკატირების ერთ დღიან სწავლებაზე დასასწრებად, რომელსაც უძღვებოდნენ ტრენერები Livestrong Foundation-დან. მათ ერთად იმუშავეს პრობლემასა და საკითხს შორის განსხვავებებზე და იმაზე, თუ როგორ უნდა ისაუბრონ მათ გადაჭრაზე, სტიგმაზე, დაინტერესებული მხარეების განსაზღვრასა და ეფექტური გზავნილების შემუშავებაზე.

შამიტის შემდგომ გამოკითხვის ჩატერების შედეგმა აჩვენა, რომ ყველა რესპონდენტი დათანხმდა ან მკაცრად დათანხმდა, რომ დასწრებამ WE-CAN-საქართველოს შეკრებაზე გააღრმავა მათი ცოდნა საჯარო პოლიტიკის, კიბოს ადვოკატირებისა და მზადყოფნის, ძუძუს კიბოსთან დაკავშირებით პაციენტების მხარდამჭერ ჯგუფების შესახებ.

რესპონდენტების 80%-მა აღნიშნა, რომ შეიტანდნენ ცვლილებას მათსავე სამუშაოში კურსის განმავლობაში მოსმენილი ინფორმაციის საფუძველზე. ისინი გეგმავენ შემდეგი სახის ცვლილებებს, რომელთაგან უმეტესობა შეესაბამება შემინარის მიზნებს: არსებული პროგრამების გაუმჯობესება ახალი სტრატეგიების დამატებით, სისტემატიური და ორგანიზებული საქმიანობის გაზრდა, აქტიური მუშაობის დაწყება საერთაშორისო პარტნიორებთან, პოლიტიკოსებთან ურთიერთობის გაზრდის მცდელობა.



გარდა ამისა, ფორუმისთვის ადვოკატებს შორის იდეების გაზიარების შესაძლებლობების უძრუნველსაყოფად და საადვოკატო უნარ-ჩვევების გაუმჯობესებისათვის, ფორუმმა შეკრიბა ქართველი და ამერიკელი სამედიცინო და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროს პროფესიონალები რათა წახალისებინა მათი გეგმები მომავალი ურთიერთთანამშრომლობის შესახებ.

როგორც პროექტის პირდაპირი შედეგი, ქ-ნმა ჯული გრალოუმ გამოთქვა მზადყოფნა გააღრმავოს თანამშრომლობა საქართველოში. საქართველოსა და შავი ზღვის რეგიონში პროექტების გაფართოების გზების მოსაძებნად დაიქირავეს გუნდის ახალი წევრი.

5. პროგრამის წლიური სამუშაო გეგმის ფარგლებში ხარისხიან რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით არასამთავრობო ორგანიზაცია სოკოსთან ერთად 2013 წლის თებერვლიდან ინერამდე ჩატარდა მულტი პროფილური მობილური ჯგუფების გასვლითი სამედიცინო გასინჯვები გურიის რეგიონში. არასამთავრობო ორგანიზაცია სოკოს ფონდს ხელმძღვანელობს საქართველოს ყოფილი პირველი ლედი სანდრა ელიზაბეტ რულოვისი, რომელიც ამავდროულად არის რეპროდუქციული

სტანდარტული ანგარიში პროექტის მიმდინარეობის შესახებ 2013

GEO2U202- ძუძუსა და საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის პროგრამა

ჯანმრთელობის ეროვნული საბჭოს თავჯდომარე. პროექტის ბიუჯეტი შეადგენდა 2584 აშშ დოლარს. უფასო გახინჯვები და კონსულტაციები მოიცავდა ძუძუსა და საშვილოსნოს ყელის სკრინინგს გამოკვლევებს. რომელიც ჩაუტარდა სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის 1161 ქალს. აქედან 535 –ს ჩაუტარდათ კოლპოსკოპირი გამოკვლევა და პაპ ტესტი. აგრეთვე ინფორმაცია რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ მიწოდებული იქნა როგორც ვერბალურად ასევე ბუკლეტების მეშვეობით. გარკვეულ რაოდენობა ქალებს საჭიროების მიხედვით გადაეცათ მედიკამენტები და ორსულობის პაკეტი.

მოსახლეობის ქცევის შეცვლისათვის გამოიზნული საკომუნიკაციო ღონისძიებები

გაგრძელდა ნაბეჭდი მასალების გავრცელების, ეროვნული სკრინინგ ცენტრის ვებგვერდის ექსპლუატაციისა და ადგილობრივ ტელეარხებზე უფასო საჯარო სარეკლამო რგოლების ჩვენების გზით.

ძუძუს, საშვილოსნოს ყელის კიბოს, პროსტატისა და სწორი ნაწლავის კიბოს სკრინინგი და ადრეული სადიაგნოსტიკა მომსახურება უზრუნველყოფილ იქნა საანგარიშო პერიოდში.

სკრინინგის პროგრამის მიზანია ძუძუს, საშვილოსნოს ყელის კიბოს, პროსტატისა და სწორი ნაწლავის კიბოს სკრინინგი და ადრეული დიაგნოსტიკის მაქსიმალურად გაზრდა სამიზნე პოპულაციაში და აღნიშნული დაავადებებით გამოწვეული ავადობისა და სიკვდილობის შემცირება.

2013 წლის იანვარ-დეკემბერში (იხ. ცხრილი 1):

- **ძუძუს კიბოს** სკრინინგი ჩაუტარდა თბილისის და თბილისის შემოგარენის მაცხოვრებელ, 40–70 ასაკობრივი ჯგუფის **17,545** ქალს;
- **საშვილოსნოს ყელის კიბოს** სკრინინგი კი თბილისის და თბილისის შემოგარენის მაცხოვრებელ, 25–60 ასაკობრივი ჯგუფის **16,836** ქალს;
- **პროსტატის კიბოს** სკრინინგი ჩაუტარდა 45-70 წლის ასაკობრივი ჯგუფის **4,884** მამაკაცს;
- **მსხვილი ნაწლავის კიბოს** სკრინინგი ჩაუტარდა 50-70 ასაკობრივი ჯგუფის როგორც მამრობითი, ასევე მდედრობითი სქესის **1,356** პაციენტს (იხ. ცხრილი 1).

ყველა მიმართულებით შემთხვევათა სკრინინგის 80%-ზე მეტი განახორციელა სკრინინგის ეროვნულმა ცენტრმა, ხოლო დარჩენილი ნაწილისა კი ქვე-კონტრაქტორმა პარტნიორებმა მათდამი დაქვემდებარებულ სამკურნალო და დიაგნოსტიკურ ცენტრებში. **ცხრილი 1. ძუძუს, საშვილოსნოს ყელის კიბოს, პროსტატისა და სწორი ნაწლავის კიბოს სკრინინგის რაოდენობა 2013**

სკრინინგის პროგრამის კომპონენტი	რაოდენობა	პროცენტი
ძუძუს კიბო (მამოგრაფია)	17,545	100%
ეროვნული სკრინინგ ცენტრი	15,160	86.4%
ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი	1,178	6.7%



სტანდარტული ანგარიში პროექტის მიმდინარეობის შესახებ 2013
 GEO2U202- ქუქუსა და საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის პროგრამა

თბილისის ონკოლოგიის ცენტრი	726	4.1%
თბილისის ბალნეოლოგიური ცენტრი	107	0.6%
ავერსის კლინიკა	374	2.1%

საშვილოსნოს ყელის კიბო (პაპ ტესტი)	16,836	100%
ეროვნული სკრინინგ ცენტრი	13,584	80.7%
ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი	959	5.7%
თბილისის ონკოლოგიის ცენტრი	745	4.4%
თბილისის ბალნეოლოგიური ცენტრი	60	0.4%
მედინგესტი	33	0.2%
№12 რეპროდუქციული კლინიკა	220	1.3%
კლინიკური ცენტრი "ვერე XXI"	261	1.6%
ონკოპრევენციის ცენტრი	89	0.5%
რეპროდუქციული ჯანმრთელობის ცენტრი "გინექსი"	17	0.1%
პფც ნიუმედი	364	2.2%
რეპროდუქციული ჯანმრთელობის ცენტრი "მედი"	175	1.0%
პფც მედიკორი	248	1.5%
თბილისის №30 პოლიკლინიკა	81	0.5%

პროსტატის კიბო (PSA)	4,884	100%
ეროვნული სკრინინგ ცენტრი	3,616	74.0%
ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი	405	8.3%
თბილისის ონკოლოგიის ცენტრი	98	2.0%
თბილისის ბალნეოლოგიური ცენტრი	70	1.4%
№12 რეპროდუქციული კლინიკა	27	0.6%
კლინიკური ცენტრი "ვერე XXI"	438	9.0%
ავერსის კლინიკა	93	1.9%
ონკოპრევენციის ცენტრი	35	0.7%
პფც ნიუმედი	41	0.8%
პფც მედიკორი	61	1.2%

კოლორექტალური კიბო (FOBT)	1,356	100%
ეროვნული სკრინინგ ცენტრი	932	68.7%
ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი	217	16.0%



სტანდარტული ანგარიში პროექტის მიმდინარეობის შესახებ 2013
 GEO2U202- ძუძუსა და საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის პროგრამა

თბილისის ონკოლოგიის ცენტრი	28	2.1%
თბილისის ბალნეოლოგიური ცენტრი	4	0.3%
№12 რეპროდუქციული კლინიკა	1	0.1%
ონკოპრევენციის ცენტრი	144	10.6%
პფც ნიუმედი	4	0.3%
პფც მედიკორი	26	1.9%

შემდგომი, უფრო ღრმა ეპიდემიოლოგიური ანალიზი შესრულდა პროგრამის თითოეული კომპონენტისთვის. აღნიშნული ანალიზის ფარგლები და მიზნებები განხილულია ქვევით თითოეული კომპონენტისთვის ცალ-ცალკე

ძუძუს კიბოს სკრინინგი

2013 წლის იანვარ-დეკემბრის პერიოდში **17,545** ქალი, 40-70 წლის ასაკის, მცხოვრები თბილისსა და მის შემოგარენში გამოკვეული იქნა ძუძუს კიბოზე სკრინინგ პროგრამის ფარგლებში. თვით დინებით მისულ პაციენტებს ეროვნულ სკრინინგ ცენტრსა და ქვეკონტრაქტორ სკრინინგის ერთეულებში, როგორცაა: ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი, თბილისის ონკოლოგიური ცენტრი, თბილისის ბალნეოლოგიური ცენტრი და ავერსის კლინიკა, ჩაუტარდათ მამოგრაფიული გამოკვლევა **[ცხრილი 1]**. სხვა დამატებითი კლინიკური კვლევები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა საანგარიშო პერიოდში, წარმოადგენს შემდეგს: ულტრაბგერა და ძუძუს ფიზიკალური გასინჯვა ჩატარდა 6,125 შემთხვევაში (2013 წელს ძუძუს კიბოზე გამოკვლეულ ქალთა 34.91%) და ციტოლოგიური კვლევა ჩატარდა 540 შემთხვევაში (2013 წელს ძუძუს კიბოზე გამოკვლეულ ქალთა 3.08%-ში) **[ცხრილი 2]**.

ცხრილი 2. ძუძუს კიბოს სკრინინგი: საერთო რაოდენობა და მიწოდებული მომსახურების პროცენტული მაჩვენებელი, 2013

გამოკვლევის სახეობა	რაოდენობა	პროცენტი (%)
მამოგრაფია	17,545	100.00%
ფიზიკური შემოწმება	6125	34.91%
ულტრაბგერა	6125	34.91%
ციტოლოგია	540	3.08%

შედეგების ანალიზის მიხედვით, ჩატარებული 17,545 მამოგრაფიული კვლევიდან ექვმიტანილი პატოლოგიაზე იყო 587 (3.35%) **[ცხრილი 3]**. BIRAD სისტემაზე დაყრდნობით კვლევის შედეგები დაჯგუფებულია როგორც საექვო ავთვისებიანობაზე, ავთვისებიანი და ნორმა; 4 ან 5 ციფრით კოდირებული შემთხვევები მიეკუთვნა ავთვისებიანობაზე საექვოს და ავთვისებიანს. გარდა ამისა, სულ ჩატარებული 6,125 ულტრაბგერითი გამოკვლევიდან 557 (9.09%) იდენტიფიცირდა BIRAD –ის სისტემის 4 ან 5 ქულით (ულტრაბგერითი BIRAD სისტემაზე დაყრდნობით) და 540 ციტოლოგიური კვლევიდან 146 (27%) შეფასდა როგორც “ატიპიური”, “საექვო ავთვისებიანობაზე” და “ავთვისებიანი” (უფრო დეტალურად ციტოლოგიური კვლევის შედეგები იხ. **ცხრილი 4**).

სტანდარტული ანგარიში პროექტის მიმდინარეობის შესახებ 2013
 GEO2U202- ძუძუსა და საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის პროგრამა

ცხრილი 3. ძუძუს კიბოს სკრინინგი: თითოეული სადიაგნოსტიკო მეთოდით გამოვლენილი გადახრები და მათი განაწილება, 2013

გამოკვლევის სახეობა	გადახრა/საერთო რიცხვი (N)	განაწილება (%)	(%) საერთო რაოდენობიდან
მამოგრაფია	587/17545	3.35%	3.35%
ულტრაბგერა	557/6125	9.09%	3.17%
ციტოლოგია	146/540	27%	3.08%

540 ქალიდან, ძუძუს ციტოლოგიური კვლევის შედეგების მიხედვით 95 (18%) აღმოჩნდა ავთვისებიანი ძუძუს კიბო, 33 (6%) იყო ავთვისებიანობაზე საეჭვო და 18 (3%) ატიპიური/არადიფერენცირებული, 328 (61%) კეთილთვისებიანი შემთხვევა, ხოლო 66 (12%) განიხილება როგორც გამოკვლევისათვის გამოუსადეგარი/არაადექვატური საკვლევი მასალა [ცხრილი 4].

ცხრილი 4. ძუძუს კიბოს სკრინინგის ციტოლოგიური კვლევის შედეგები, 2013

ციტოლოგიის შედეგები	N	%
არა ადექვატური	66	12%
კეთილთვისებიანი	328	61%
ატიპიური/არადიფერენცირებული	18	3%
ავთვისებიანობაზე საეჭვო	33	6%
ავთვისებიანი	95	18%
სულ	540	100%

თბილისში ჩატარებული ძუძუს კიბოს სკრინინგის პროგრამიდან კიბოზე საეჭვო ყველა **1119** ქალი, შემფასებელი ჯგუფის მიერ (რადიოლოგის, ციტოპათოლოგისა და ქირურგის ჩათვლით) შემდგომი კვლევისა და მკურნალობის მიზნით გადაგზავნილ იქნა სპეციალიზირებულ სამედიცინო დაწესებულებებში [ცხრილი 5]. გაიდლაინის მიხედვით, შემფასებელი ჯგუფი პაციენტის სპეციალიზირებულ კლინიკაში გადაგზავნის რეკომენდაციას იძლევა ციტოლოგიის, მამოგრაფიისა და ულტრაბგერითი გამოკვლევის შედეგების დასკვნის საფუძველზე

ცხრილი 5. თბილისის სკრინინგ პროგრამიდან ძუძუს კიბოს სპეციალიზირებული კლინიკებში გაგზავნილი პაციენტების რაოდენობა (რეფერალი), 2013

დაწესებულება	გადაგზავნილი პაციენტების რაოდენობა	% საერთო რაოდენობიდან (N=17,545)
ეროვნული სკრინინგ ცენტრი	1119	6.38%
ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი	26	0.15%
ავერსის სამედიცინო კლინიკა	15	0.09%
თბილისის ონკოლოგიის ცენტრი	N/A	N/A



პროექტის
ხარისხი
სამართალი

სტანდარტული ანგარიში პროექტის მიმდინარეობის შესახებ 2013
 GEO2U202- ძუძუსა და საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის პროგრამა

სულ	1160	6.38%
------------	-------------	--------------

2013 წელს გამოკვლეული 11,437 ქალიდან 6,010 მათგანი (ეროვნული სკრინინგ ცენტრებიდან) განმეორებით მონაწილეობდა ძუძუს კიბოს სკრინინგის მე-2 რაუნდში [ცხრილი 6], რაც წარმოადგენს ქალთა მოსახლეობის 52 %-ს , რომელსაც სკრინინგი ჩაუტარდა ეროვნული სკრინინგ ცენტრის ფილიალებში 2011 წელს (11,487 ქალი შემოწმდა ძუძუს კიბოზე 2010 წელს).

ცხრილი 6. ძუძუს კიბოს სკრინინგის მეორე რაუნდი, 2013 *

II სკრინინგი	მამოგრაფია	ულტრაბგერა
ეროვნული სკრინინგ ცენტრი - დიდუბე	2685	843
ეროვნული სკრინინგ ცენტრი - ვარკეთილი	3325	914
სულ	6010	1757

* შენიშვნა ცხრილი 6-თვის: მე-2 რაუნდის სკრინინგის მონაცემები ჯერ-ჯერობით არ არის მოწოდებული სხვა ქვეკონტრაქტორების მიერ

საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი

2013 წლის იანვარ-დეკემბრის პერიოდში **16,836** ქალი, 25-60 წლის ასაკის, მცხოვრები თბილისსა და მის შემოგარენში გამოკვლეული იქნა საშვილოსნოს ყელის კიბოზე სკრინინგ პროგრამის ფარგლებში. ეროვნული სკრინინგ ცენტრი და ქვეკონტრაქტორი სამედიცინო დაწესებულებები როგორცაა: ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი, თბილისის ონკოლოგიური ცენტრი, თბილისის ბალნეოლოგიური ცენტრი, მედინვესტი, რეპროდუქციული კლინიკა №12, კლინიკური ცენტრი “ვერე XXI”, თბილისის №30 პოლიკლინიკა, რეპროდუქციული ჯანმრთელობის ცენტრი “გინექსი”, პფც ნიუმედი, რეპროდუქციული ჯანმრთელობის ცენტრი “მედი”, პფც მედიკორი და ონკოპრევენციის ცენტრი ახორცილებდნენ პაპ ტესტის ჩატარებას. სხვა დამატებითი სამედიცინო კვლევები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა საანგარიშო პერიოდში, შემდეგნაირად ნაწილდება: 2,844 (17,1%) და 193(1.2%) ქალს ჩაუტარდა კოლპოსკოპიური გამოკვლევა და ბიოფსია შესაბამისად [ცხრილი 7].

ცხრილი 7. საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი: საერთო რაოდენობა და შესრულებული გამოკვლევების პროცენტული მაჩვენებელი, 2013

გამოკვლევის სახეობა	რაოდენობა	პროცენტი (%)
პაპ ტესტი	16836	100,0%
კოლპოსკოპია	2,844	17.1
ბიოფსია	193	1.2

2013 წელს ჩატარებული 16,836 პაპ ტესტიდან 83%-ში შედეგები განიხილება როგორც ნორმალური და 2857 (17%) – როგორც ატიპიური. შედეგები შემდეგნაირად ნაწილდება:

სტანდარტული ანგარიში პროექტის მიმდინარეობის შესახებ 2013
 GEO2U202- ქუქუსა და საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის პროგრამა

1,422(49,8%) იყო ატიპიური უჯრედები დაუდგენელი მნიშვნელობის (ASCUS), 214 (7.5%) იყო ატიპიური ქერცლოვანი უჯრედები (ASC-H), 1011 (35,4%) იყო დაბალი ხარისხის ქერცლოვანი ქვედაეპითელიალური დაზიანება (LSIL), 187 (6.5%) იყო მაღალი ხარისხის ქერცლოვანი ქვედაეპითელიალური დაზიანება (HSIL), 11 (0.4%) იყო ატიპიური კვანძოვანი უჯრედები დაუდგენელი მნიშვნელობის ან ატიპიური კვანძოვანი უჯრედები (AGUS/AGC) ხოლო 12 (0.4%) შედეგის კლასიფიცირება მოხდა როგორც კარცინომა [ცხრილი 8]. ატიპიური პაპ ტესტის შედეგების მქონე ქალებს რეკომენდაცია მიეცათ 6-12 თვეში პაპ ტესტის განმეორებით ჩატარების შესახებ. ყველა გამოკვლეულ ქალს შორის 390 (2,3%) შემთხვევაში ნაცხი აღმოჩნდა არაადეკვატური პაპ ტესტირებისათვის.

ცხრილი 8. საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი: პაპ ნაცხების ციტოლოგიური კვლევის შედეგები, 2013

ატიპიური პაპ ტესტი	რაოდენობა	განაწილება (%) ატიპიური პაპ ტესტის შედეგები (N=2857)	(%) ატიპიური პაპ ტესტის შედეგები სულ გამოკვლეულთა შორის (N=16,836)
ASCUS	1,422	49.8%	8.4%
ASC-H	214	7.5%	1.3%
LSIL	1011	35.4%	6.0%
HSIL	187	6.5%	1.1%
AGUS/AGC	11	0.4%	0.1%
კარცინომა	12	0.4%	0.1%
სულ	2,857	100.0%	17.0%

ქვემოთ მოცემული პარაგრაფებში დეტალურად არის აღწერილი საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის კომპონენტის ეპიდემიოლოგიური ანალიზი ეროვნული სკრინინგ ცენტრის ორ ფილიალში. საანგარიშო პერიოდში 13415 ქალი იქნა გამოკვლეული პაპ ტესტირებით ეროვნული სკრინინგ ცენტრის დიდუბისა და ვარკეთილის ფილიალებში. მათ შორის 8492 პირველად იყო გამოკვლეული, 3754 მეორედ ხოლო 1169 შემდგომი მეთვალყურეობის მიზნით (FU). **იხ. [ცხრილი 9].**

ცხრილი 9. საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი: პაპ სკრინინგის შედეგები, I-II სკრინინგი და შემდგომი მეთვალყურეობა(FU), 2013

	I კვარტალი	II კვარტალი	III კვარტალი	IV კვარტალი	სულ	%
გამოკვლეულ ქალთა რაოდენობა	3166	3801	3432	3016	13415	100
სკრინინგი I	2139	2445	2111	1797	8492	63
სკრინინგი II	788	1040	1033	893	3754	28
შემდგომი მეთვალყურეობა	239	316	288	326	1169	9



